**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, | |
| 5 | ,, . . | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 58 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 58

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა.**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს 3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


## რედაქციისაგან

ივნისის მარტიდგან წლის ბოლომდე გაზეთი „ივერია“ ღირს 8 მან. 75 კაპ.

---


გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალატი

დრამა-ლეგენდა ო-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენიური წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

---

**რთინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

რთინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იხარით ავიდე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადიიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გადიღებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) სუფთად დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი ტარასი სამსონის ძე მომცველიძე.


---

## რედაქციისაგან

ჩვენ მოგვივიდა რამდენისაგანმე საჩივარი, რომ „ლალატი“, პრემია „ივერიისა“, არ მოგვივიდაო. რედაქციამ-კი ყველას, ვისაც ჯერ იყო, გაუგზავნა. ვთხოვთ იმათ, ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, მოიკითხოს ფოსტის მახლობელ კანტორაში. საჭირო იქნება მხოლოდ რამდენისამე კაპიკის დამატება ფოსტის სასარგებლოდ.

---

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

,,ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ ,,ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 მან.).

---

იმპერიის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავსმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობა-მოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავსმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი ლევ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბითობით და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. ლ. გ ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10—3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

(30—6.—8).


**სადიდმარხვო სეზონი**

წარმ. № 3 ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

კვირას, 7 მარტს 1904 წელს,
ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ,
წარმოდგენილი იქნება
**პირველად ახალი პიესა**

## ცხოვრების გარედ

თანამედროვე სურათები 4 მოქ. პროტოპოპოვისა
თარგ. თ. შველიძის მიერ.

ამ პიესამ რუსეთში, წლევანდელს სეზონში, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მონაწილეობას დებულობენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგალეთელი, მ. მღივანი, ნ. რონელი, ჯავახიშვილი, როსტომაშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გედევანოვი, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი შტოკმანი“ და «სხვის ნაოხარზედ».

ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

---

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 9 მარტს,
ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ
**ბ-ნის ვლ. ალექსი-მესხიშვილის**
მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
I

## ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, ნებიერიძისა; ბ-ნნი ვლ. ალექსი მესხიშვილი, ბაქრაძე, ბარველი, გვარაძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანაშვილი, მატარაძე, სარჯველაძე, საფაროვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.
გამგე ა. იმედაშვილი
რეჟისორი ვლ. ალექსიმესხიშვილი.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი
**რუსული ოპერა**
ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
**კვირას, 7 მარტს 1904 წელს,**
არტისტის ბარიტონის ა. მ. ბრაგინის სადებიუტოდ, საიმპერატორო თეატრის არტისტების მ. ა. დუბროვსკაიასა და დ. ი. ბუხტოიაროვის მონაწილეობით,
წარმოდგენილი იქნება

## დემონი

ოპერა 3 მოქ. და 7 სურ. აპოთეოზით, მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დუბროვსკაია, როდიონოვისა, დელინსი; ბ-ნნი: კარშევინი, ილიუშჩენკო, ბრაგინი, ბუხტოიაროვი, გავრილოვი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი
კაპელმეისტერი ა. ?. ასლანოვი.
დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ორშაბათს, 8 მარტს, ქ-ნის ო. ა. შულგინას სადებიუტოდ, საიმპერატ. თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა და არტისტის ა. მ. ბრაგინის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება „პიკოვაია დამა“, ოპერა 3 მოქ. და 7 სურათ., მუს. ჩაიკოვსკისა. სამშაბათს, 9 მარტს, წარმოდგენილი იქნება «მინიონი», ოპერა 4 მოქ., მუსიკა ტომასი.

ადგილების ფასი გამოცხადებულს წარმოდგენებზე ჩვეულებრივია.

---

დიდმარხვის მეხუთე კვირაში ბენეფისი იქნება საიმპ. თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა, ხოლო მეექვსე კვირაში-კი—მისის უდიდებ. სოლ. ნ. ნ. ფიგნერისა და არტისტის ო. ი. კამიონსკისა.

ბენეფისებში ფასები მომატებულია, გარდა ქანდარისა და ბალკონისა.

ბილეთები იყიდება.

---

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა
ფასი 1 მანათი.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—მიხაილოვის პროსპექტი, № 123.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

## ექიმი
## პ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.
ნიკოლოოზის ქუჩა, № 46.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**პ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მუღნიძე**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**პ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვების-და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სოგოლევსკი**—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების ფლოტის იერიში 26 თებერვალს.—წვრილი ამბავი.—იუან-შიკაის განცხადება.—«იაპონია და იაპონელები».—დაზიანებული გემები რუსეთისა და იაპონიისა.

ახლო-აღმოსავლეთი.

იაპონელთა ესკადრა, რომელიც პორტ-არტურს დაეცა 26 თებერვალს ლიაოტეშანიდგან, არა სჩანდა თურმე ნავთსადგურიდგან. თვით ესკადრა შორს იდგა, 9—12 ვერსის მანძილზე, და იქიდგან ესროდა ციხე-სიმაგრესა და ნავთ-სადგურს, სადაც ორმოცამდე დიდი და პატარა გემი იდგა. სროლა გაგრძელებულა $4^1/_2$ საათს და 154 ყუმბარა უსროლიათ, ადმირალ მაკაროვის ანგარიშით, თუმცა შესაძლო იყო ექვს გემს 1,800 ჯერ ესროლნათ,—ამბობს «რუს. ვედომ.»-ს თანამშრომელი ვ. მ.,—ეტყობა ადმირალ ტოგოს დაუზოგია ყუმბარები, რომ ტყუილად არ დაეხარჯა და ყოველ შემთხვევისათვს შეენახა; ამას გარდა, ყუმბარები ერთისა და იმავე ადგილიდგან არ ეცემოდა პორტ-არტურსა და ნავთსადგურს, არამედ ყოველ ნახევარ საათს იაპონიის გემები ადგილს იცვლიდნენ, ან არა და, ჯერ ერთი გემი ისროდა, შემდეგ მეორე და სხვა. ეს ხერხი რომ არ ეხმარა, ნავთსადგურიდგანაც შეიძლებოდა ზარბაზნები დაემიზნათ იმ ადგილისათვის, საიდგანაც ყუმბარები მოდიოდა. ერთი შეცდომა მოსვლია ადმირალ ტოგოსაო,—ამბობს ბ-ნი ვ. მ.,—რაღაც მოსაზრებით კრეისერი «ტაგასაკო» ნავთსადგურის შესავალს დაუახლოვა, ციხიდგან სროლა დაუწყეს და დააზიანეს კიდეც. დიდი დასაკლისია ესკადრისთვის ამისთანა გემი, რომელიც სხვებზე სწრაფად დადისო. საყურადღებოა, რომ წინა ღამეს პორტ-არტურის ნაღმიან გემებს იაპონელების ფლოტი დაენახათ და მთელი 4 საათი უთვალთვალეს, მაგრამ ვერც ერთი ნაღმიანი ყუმბარა ვერ ესროლეს, თუ მოარტყეს და ვერა დააკლეს-რა. ეს მაგალითი კარგა ამტკიცებს, რომ ზღვაზედ ნაღმიანი გემები ვერ შეებრძოლებიან დიდს ჯავშნიან გემებს, თუ ერთს ადგილს არ ჰრიან გაჩერებულიო.

იაპონელების ყუმბარებმა ბევრი ვერა დააკლო-რა ვერც ნავთსადგურსა და ვერც გემებს. «რეტვიზანზე» ერთი მეზღვაური მოკლულია და ოთხიც დაჭრილი.

წინა ღამეს იაპონელების ფლოტმა დალუპა ნაღმიანი გემი «სტერეგუშჩი», რო-

მელზედაც 3 აფიცერი ყოფილა, ერთი მექანიკი, ორი კონდუქტორი და 46 დაბალის ხარისხის ჯარის-კაცი; მათ შორის 6 არტილერისტი, 6 ნაღმის ოსტატი, 10 მემანქანე, 18 კაჩეგარი. გემზე ორი ნაღმიანი ყუმბარის აპარატი ყოფილა.

—

«დ. ტ.»-ის სიტყვით, იაპონიის ელჩს ჩინეთში დაავალა თავის მთავრობამ ხელ-შეკრულობა დაუდოს ჩინეთს, რომ ჩინეთმა დაუთმოს იაპონიას თავისი ჯარი, რომელიც კორეის ჩრდილო საზღვართან არის და 12,000 კაცისაგან შესდგება («რ. ვ.»).

—

რუსების ჯარი ამ ჟამად გროვდება კიულიენჩენ-გაიჩენსა და ფონ-ჩუან-ჩენში.

ნამდვილი ცნობები მოვიდა, რომ ის ამბავი, ვითომც იაპონელების ჯარი მანჯურიაში შესულიყოს, ტყუილია. ისიც მოჰორებულია, ვითომც იაპონელებს ჯინ-ჩუან-ჩენი დაეჭიროთ.

იაპონელთა ომის გეგმა ამნაირი უნდა იყოს: ორ ნაწილად გაყოფილი ჯარი ერთსა და იმავე დროს დაიძვრის ლიაოდუნის ნახევარ კუნძულიდგან და მდინარე იალუდგან ჩრდილოეთისკენ. («ნოვოსტი»).

—

ციმბირის რკინის გზაზე, სადგურ იურტუს მახლობლად, 25 თებერვალს მატარებელი რელსებს გადასცდა და დაზიანდა. ერთი ყაზახი მოკვდა და 8 მგზავრი დაშავდა, მატარებლების სიარული არ შეწყვეტილა, ხოლო მგზავრები სხვა მატარებელში გადადიოდნენ. მიზეზი — ბოროტ-მოქმედებაა. გამოძიება სწარმოებს.

—

ხარბინის ახლო-მახლო ჩინელების მოქმედება საეჭვოა; რუსები თვალს არ აშორებენ. ჩინელი მოხელეები უშლიან კიდეც, რუსებს სანოვაგეს ნუ მიჰყიდით, რადგან ჩინეთს ნეიტრალიტეტი უჭირავსო. ამბობენ, შანჰაი-გუანში 200 იაპონელია ჩინელ ჯარის-კაცების ტანსაცმელში გამოწყობილიო. („ნ. ვ.").

—

პეჩილიის პროვინციის ვიცე-კოროლს იუანშიკაის განცხადება გამოუცია, რომ ყოველი ჭორის გამავრცელებელი სასტიკად დაისჯებაო. თუმცა იუნშიკაი ევროპიელების წინააღმდეგია, მაგრამ თავის საბრძანებელში მშვიდობიანობა უნდა დაიცვას. აი რასა ბრძანებს ეს ვიცე-კოროლი:

ვინც ხალხის ასაღელვებლად ჭორებს გაავრცელებს, იმას თავი მოეკვეთება.

ასევე დასჯილ იქმნება «მოკრივეთა» წევრი და მათი მომხრე, აგრედვე «წითელ ფარანის» მოძღვრების გამავრცელებელი.

ვინც კრებებს გამართავს და მავნე მოძღვრებას გაავრცელებს აჯანყების გამოსაწვევად, იმათაც თავი მოეკვეთებათ.

მოხელეებს, რომელნიც მავნე საზოგადოებას დახმარებას გაუწევენ, თავი მოეკვეთებათ.

მოხელეებს ეუწყებათ, რომ ტყუილუბრალოდ ხალხი არ უნდა შეაწუხონ, ვითომდა დამნაშავეთა აღმოსაჩენად.

ჯაშუში, რომელიც საჩუქრის იმედით უსაბუთოდ დაასმენს ვისმე, სასტიკად იქმნება დასჯილი. (იქვე).

—

პასტორი კარლ მუნტიგერი 6 წელს იაპონიაში ყოფილა მისიონერად და კარგად შეუსწავლია იაპონელების ენა, ისტორია და მწერლობა. ეხლა პასტორს დაუბეჭდია წიგნი «იაპონია და იაპონელები», რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს:

იაპონია არასოდეს უცხოელთა ბატონობას არ დაემორჩილება. ყოველი სასტიკი ომი, რაც კი ევროპიელმა იციან ისტორიულად, საბავშვო გასართობად ჩაითვლება შედარებით იმ ომთან, უკეთუ უცხოელმა სახელმწიფომ მოინდომა იაპონიის დაპყრობა. იაპონიის დაპყრობა მაშინ შეიძლება, თუ ხალხი სრულიად გაწყდება.

ეხლანდელი ომი უცხოელებისადმი ეროვნულის მტრობით არ არის გამოწვეული, არამედ პოლიტიკურის მოსაზრებითაა და ვაჭრობის გაძლიერების სურვილით. ჩინელები მეომარნი არ არიან დ იაპონიაც ვერ აღძრავს მათში სიმამაცესა და გმირულ თავგანწირულებას. ამისათვის იაპონიის სახელმწიფო მოღვაწის ოქუმას აზრი, ვითომც იაპონია მე-XX საუკუნის ნახევარში ევროპას შეებრძოლება, რომ ბატონობა მოიპოვოს დედამიწის ზურგზე, — მხოლოდ ოცნებაა, უტოპია. იაპონიას, მართალია, ბევრი რამა სურს, მაგრამ აუსრულებელს ხელს არ წაატანს. იაპონელები თავიანთს თავს «ყვითელ თემების» სარდლადა სთვლიან და ამიტომ ჩინეთის დანაწილებას არ დასთანხმდება. რამდენად დაახლოვებულნი არიან ეს თემები, იქიდგანაც სჩანს რომ ევროპიელი, დიდის ხნით რომ სცხოვრობდეს იაპონიაში, მაინც ვერ გაარჩევს ჩინელს და იაპონელს, მეტადრე მაშინ, თუ ერთგვარად აცვიათ. ეს თემები ენით, ჩვეულებითა და მწერლობით ერთსა და იმავე კულტურულ ერს შეადგენს. (იქვე).

—

გაზეთებში დაბეჭდილია რუსეთისა და იაპონიის ფლოტის დანაკარგი. ამ ომში რუსებს დაეღუპათ, დაუზიანდათ და დაეკარგათ შემდეგი გემები «ინფარმაციონის» ანგარიშით:

ექვსი სავაჭრო გემი იაპონელებმა დაატყვევეს.

ჯავშნიანი გემი «რეტვიზანი» დაზიანდა და ჯერაც არ შესწორებულა.

ჯავშნიანი გემი «ცესარევიჩი» დაზიანდა და უკვე გასწორდა. ერთი მეზღვაური მოკვდა.

ჯავშნიანი გემი «პოლტავა» დაშავდა.

ჯავშნიანი გემი «პეტროპავლოვსკი» დაშავდა.

ჯავშნიანი კრეისერი «ბაიანი» დაზიანდა. ექვსი კაცი მოკვდა.

კრეისერი «ვარიაგი» დაიღუპა. მოკვდა 52 კაცი.

კრეისერი «ასკოლდი» დაშავდა და გაკეთდა. მოკლულია 4 კაცი.

კრეისერი «პალლადა» დაზიანდა და კეთდება. მოკლულია 6 კაცი.

სატრანსპორტო გემი «ანგარა» დაშავდა. მოკლულია 2.

კანონერკა «კორეეცი» დაიღუპა.

ორი ნაღმის მმუსვრელი და ერთიც ნაღმიანი გემი დაიღუპა ჩემულპოსთან (?).

იაპონიის გემები:

ჯავშნიანი გემი «ჰატსუსი» დაზიანდა 9 თებერვალს.

ჯავშნიანი გემი «სიკიხინა» დაზიანდა იმავ დროს.

ჯავშნიანი გემი «ფუჯი» დაზიანდა იმავ დროს.

ჯავშნიანი კრეისერი «ასამო» ძლიან დაშავდა ჩემულპოსთან.

ჯავშნიანი კრეისერი «ივატი» ძლიან დაზიანდა.

ჯავშნიანი კრეისერი «იაკუმო» და «ადცუნგა» მცირედ დაშავდნენ.

კრეისერი «ტაკახინო» ჩემულპოსთან დაიღუპა.

კრეისერი «აკაში» დაიღუპა პორტ-არტურთან 9 თებერვალს.

ნაღმის მმუსვრელი «ხიჰაიუა» დაიღუპა ჩიფუსთან.

ორი ნაღმის მმუსვრელი, ოთხი ნაღმის გემი და ოთხი კანონერკა დაიღუპა პორტ-არტურსა და ჩემულპოსთან.

ამათ გარდა, ჯავშნიანი გემი «იაშიმა», კრეისერები «ოსსამა» და «ტოკივა» დაზიანდნენ და ნაგასაკში გააცურეს.

ახლო აღმოსავლეთი.

ვენიდგან ატყობინებენ ბერლინის «მორგენ პოსტს»: ავსტრიის სატახტო ქალაქში ცნობები მოვიდა, რომ ხონთქარი თითქო განგებ ეძებს სახელმწიფოთა უთანხმოების მიზეზსო. ოსმალეთისა და ბულგარიის შეთანხმების ქაღალდს არ ამტკიცებს და მაკედონიის ჟანდარმერიის განახლებაზე სულ უარს აცხადებს. აბდულ-ჰამიდის ასეთი მოქმედება ისევ აღელვებს ბულგარიას და საომრადა აქხედრებს. თუ რომ შემუშავებული ხელ-შეკრულობა არ დაამტკიცა ხონთქარმა, მაშინ გამწვავებული უთანხმოება უიარაღოდ არ გადაწყდება. მაკედონიის რეფორმებზე ხომ ეხლა ლაპარაკიც აღარ არისო.

## ტფილისი

*** გზათა სამინისტროს განუზრახავს ჯამაგირები მოუმატოს რკინის გზებზე მოსამსახურე მკურნალთ. ამიტომ რკინის გზების უმთავრესმა სამმართველომ მიჰმართა კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს, — გვაცნობეთ, რამდენად დიდი შრომა სჭირდება თვითოეულ მკურნალს, რომ იმის კვალობაზედ მოემატოს ჯამაგირიო. პირველ ხანებში ცოტას მოუმატებენ, შემდეგ ყოველ წლივ განაგრძობენ ჯამაგირების მომატებას.

*** ზოგიერთა გაზეთების სიტყვით, განუზრახავთ პაპიროსის გილზს აქციზი მოუმატონ. თვითოეულ ათას ცალზე 5 კ.—10 კაპ. მოუმატებენ.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: ერთმა სოფლის მასწავლებლად ნამყოფმა, სახელდობრ ზაქარია ხატისკაცმა, შეადგინა ქალაქ ტფილისის უმთავრეს ქუჩების რუქა, აიღო ნება-რთვა ცენზორისაგან და უნდა დაებეჭდა. მაგრამ საშუალებათა უქონლობის გამო ეს საქმე ვერ განახორციელა. კარგი იქნება, ვინმე იკისროს ამ რუქის გამოცემა; რაც დაუჯდება პირველ ხანად ამ რუქის გამოცემა, გაყიდულ ეგზემპლიარებიდგან შეივსებს დაბანდებულის ფულის საგებლით, ხოლო დანარჩენი-კი, რაც გადარჩება ამ ხარჯებს, შემდგენელის საკუთრება იქნება. მსურველთ შეუძლიანთ მომზადებული რუქა გასინჯონ ვეძინის ქუჩაზედ, ურუშაძის სახლებში, № 14, პლატ. ხუციაშვილის სადგომში.

*** ტფილისში მოელიან ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორს დ. ს. ს. ლეის, რომელმაც რევიზია უნდა უყოს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს. ბ-ნი ლეი ამ ჟამად ბაქოშია.

*** დღეს, 5 მარტს, ტფილისში მოელიან მკურნალს ბლიუმენტალს, რომელიც პეტერბურგში იყო წასული. ბ-ნი ბლიუმენტალი ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენაზედ ორს ლექციას წაიკითხავს ჭლექის შესახებ.

*** ზაბაიკალის რკინის გზაზე საჭიროა ამ ჟამად რკინის გზის მოსამსახურენი. ამიტომ კავკასიიდგან რამდენიმე კაცი იგზავნება ამ რკინის გზაზე, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით.

*** რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების კავკასიის განყოფილებას განუზრახავს, ტფილისში მოაშენოს საუკეთესო ჯურის ფრინველნი. ამ საზოგადოების მიერ საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ ამ დღეებში მსჯელობა იქონია ამ საგნის შესახებ. კომისიის აზრით, კარგი იქნება, ბოტანიკურ ბაღთან საზოგადოებამ შეიძინოს კერძო კაცთა მამულები დ იქ გამართოს ფერმა. ამ საქმის მოწყობას 2,000 მანეთამდე დასჭირდება. საზოგადოებას აზრადა აქვს, შუამდგომლობა აღძრას მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ მან 2,000 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს. ამ საგნის შესახებ საზოგადოება კიდევ იქონიებს მსჯელობას მოკლე ხანში.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურს განუზრახავს ქუთაისში ადგილი შეიძინოს და ზედ აბრეშუმის ქია გააშენოს.

*** წელს საერობო თანხიდგან კავკასიაში ბორნების მოსაწყობად გადადებულია 3,308 მანეთი.

*** უმაღლესს მთავრობას დაუდგენია, ქალაქ ბაქოს 282,413 მანეთი მისცეს იმ მიწებისათვის, რომელიც ქალაქმა რკინის გზას დაუთმო.

*** როგორც გვატყობინებენ, ამ ჟამად ამთავრებენ ბათომის დედათა გიმნაზიის შენობას. ზაფხულისთვის შენობა დამთავრებული იქნება.

*** ქალაქის გამგეობა ხელმეორედ განიხილავს საგანს გამგეობისა და კომისიების კრებაზე ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა დასწრების შესახებ.

*** უძრავ ქონებათა ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების გამგეობის თავჯდომარე პ. ი. ალიხანოვი, როგორც ამბობენ, თანამდებობას თავს ანებებს.

*** პურზე ნიხრის დამდებმა კომისიამ დაადგინა, რადგან ფქვილის ფასი არ გაძვირებულა ტფილისში, ამიტომ გამოცხვარ პურზე ნიხრს არ მოუმატოს.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: «თხზულებანი პეტრე ლუარსაბის ძე ჯოხიასი», ათის სურათით. წიგნი 107 გვერდს შეიცავს და ჰღირს 40 კაპ.

—

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში ახალ ამბად არის დაბეჭდილი: „გორში მ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილის მეთაურობით არსდება ქალთა საზოგადოება"; უნდა იყოს: „გორში გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილის" და სხვ.

### ქართლის სოფლები.

ბრეთელის მდგომარეობა. — მისი საზრდო. — ხვნა-თესვის გავრცელება. — საკკას გუთანი. — გლეხკაცისაგან ნადელის შეუსყიდველობის მიზეზი. — მამულის სიძვირე. — უღელა და თაობა. — ბრეთის მამულის მოსავალი. — მარტოხელა კაცი ერთის უღლის ხარით. — მოსავალი და სხვა.

საერთოდ ბრეთელების, თუნდ მთელი ბრეთის საზოგადოების, რომელი მხრითაც უნდა აიღოთ, თუნდ ჯანმრთელობისა და თუნდ საზრდოს დაკმაყოფილებაში, ვერ არის სანუგეშო მდგომარეობაში. ცალკე მიწური ნოტიო სახლი, ცალკე მისი მომართულ-მოწყობილება არის მიზეზი გლეხ-კაცობის ხშირის ავადმყოფობისა. ამას ხელს უწყობს უნოყიერო საზრდოც. გლეხს ზარმაცობა არ შეეწამება; მხოლოდ მუშაობის ხალისი დაკარგული აქვს, რადგან იმის ჯაფა-შრომას არ ასაჩუქრებს ისედაც მცირე მიწა, რომელსაც ქართველი ზედ დაჰკვრია, შიგ ჩასცქერის და ოფლსა ჰღვრის, დარწმუნებული, რომ უხვნო-უთესვოდ ვერ იცხოვრებს, ღონიერის მუშისათვის საჭიროა ნოყიერი საზრდო და ეს უკანასკნელი რაც გადურჩა მემამულეს, მღვდელს, მთავარს, ხომ დახარჯა მარიამობას, გარეგნობას, ზედაჯვრობას, პეტრეპავლობას, შვიდ, რვა და ცხრა მაისობას, ე...იაობას, და სხვა და-სხვა ხატობას.

წელიწადში სულ რამდენიმე დღე შეხვდება გლეხს თავის ოჯახით ხორცეულის ჭამა. სახელდობრ: 1) ახალწელიწადს — 1—3 დღე; ისიც თუ თვითონ დაჰკლა შინ ნაყოლი ღორი; სხვა საქონელს ძნელად იმეტებს; თუ ყიდვაზეა საქმე, მარტო ერთი სადილით გადაივლის; წვრილ ფეხს — ქათამს ბატს, ინდოურს, იხვს, ვარიას, — გლეხისათვის ის დანიშნულება აქვს, რომ გაიყიდოს და ცხოვრების წვრილმანი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს; გადაცვლით ან გასყიდვით იშოვოს ნავთი, სპიჩკა, ჭრაქი, ლამფის შუშა, საქალამნე, თავშალი, სასმელი და სხვა-და-სხვა, თორემ თავისთვის საჭმელად, თუ არ სტუმრისათვის, ძლივს გაიმეტებს; 2) ყველიერში სჭამს 2—4 დღე, 3) აღდგომას 1—3 დღე; 4) კვირაცხოვლობას 0—1 დღე; 5) მარიამობას 1—2 დღე; 6) შობას 1—4 დღე. აი, ეს ორიოდე დღე, როდესაც გლეხის ოჯახი უეჭველად ხორცით დაიკმაყოფილებს შიმშილს. კიდევ წლის განმავლობაში შემთხვევით სჭამს ხორცეულს ქორწილში, ქელში, სტუმრობაში და თუ შეძლებულ კაცთან არის დაქირავებული მუშად, აქაც ხომ მხოლოდ მამაკაცნი და არა მოზარდი თაობა და ქალობა. აქედგან ძნელი გამოსაცნობი არ არის, რამდენს დღეს არის წელიწადში მაძღარი გლეხკაცი ხორცეულით — ნოყიერის საჭმელით. აი დიდი მიზეზი, რომელიც გლეხის ჯანმრთელობას ხელს უშლის. სარჩოს-კი, რომელიც, შეიძლება, ერთს წელს თუ არა, ორ თვეს მაინც გაჰყვეს, დღეობაში დაუპატიჟებელ სტუმარს შთაანთქმევინებს ორ-სამ დღეში. კარგია, თუ ოჯახი ცოტათი მაინც შეძლებულია და ჰყავს 3—5 უღლიანი ხარი, 2—3 მეწველი ძროხა და 2—3 მუშა. მაშინ ოჯახი კვირაში ორ-სამს დღეს სველის ლუკმით საზრდოობს: იკეთებს ლობიოს, თეთრეულს, მახოხს, ღვალოს, დოს, კვრინჩხის შეჭამანდს, მხალს, მაგრამ ყველა ეს მუშა კაცს ასაზრდოებს? გლეხი ამისიც მადლობელი იქნება, მაგრამ ხშირად ამ სველ საჭმელსაც დანატრულებულია.

ბრეთის საზოგადოების თერთმეტი სოფელი იხდის წელიწადში თხუთმეტზე მეტს დღეობას, თითო სოფელი ორ-ორს თუ არა, ერთს დღეობას უეჭველად. დღეობისთვის ყოველი ოჯახი, ღარიბ-ღატაკიც კი, მოელის სტუმარს, მოყვარეს, ან სრულიად უცნობს. ეს სტუმრიანობა სწორედ აკლებაა იმ სოფლისა, სადაც რომელიმე ხატის სასახელოდ დღეობაა დადებული. ერთს სოფელს, აქაო და დღეობაო, ეწვევა ათი-თორმეტი სოფელი, სმეულ-ჭამეულობა გრძელდება ორ-სამს დღეს და გლეხიკაცი თავისს სარჩო-საბადებელს, რომელიც შეიძლება, რამდენსამე თვეს ჰყოფნოდა, იმ ორ დღეს ღუპავს. დირბისთვის ზედაჯვრობა სწორედ აოხრებაა; ბრეთი, წვერი, საღოლაშენი, არადეთი — მარიამობის ერისაგან არის აკლებული. აქაური თავადაზნაურობა დღეობებმა გაანიავწყალა; ამიტომაც გლეხკაცი თუნდ თავადი დღეობას მოელის სიხარულით კი არა, არამედ მოელის როგორც დღეს საჭარალოს: მომეტებული ნაწილი ვალს იღებს დღეობის დასახვედრად და თუ ვინიცობაა უვალოდ გადარჩა, ასეთი ხომ მცირეა, სიხარულით ცას ეწევა და ამბობს: მადლობა ღმერთსა, რომ მეყოვო, და იმას კი არა სჩივის, რომ ცარიელზე დარჩა. თუ ვისმე ღვინო მოუვიდა, დღეობისთვის ინახავს და დიდად არის გახარებული, თუ ეს ღვინო სტუმრებს ეყო და სყიდვა არ დასჭირდა.

გლეხ კაცი მაინც მხნეობს, არ უვარდება სიღარიბეს და ხვნა-თესვისთვის მაგრა ჩაუჭერია ხელი. საბრეთო მამული ერთი ღღიურიც არა რჩება უხნავი; ყოველგან გუთანი გაავლო, ბუჩქნარი ამოაგდო, კორდი გადააბრუნა, ყოველგან ჰპირნახული დასთესა და საძოვარი აღარსად დასტოვა. საქონელი სულს იბრუნებს და სძოვს იმ მიწებში, რ... ც არა დათესილა-რა და ისვენებს.

ხვნა-თესვა ისევ ძველებურია, თუმცა უკანასკნელ წლებში შემოვიდა რკინის გუთნები: «ეკერტისა», «გენესი» და «საკკასი»: «გენეს» გუთანმა აქ ს...ლებით არ ივარგა; «ეკერტისა» საგაზაფხულო სახნავად კარგია. რაც შეეხება «საკკას» გუთანს, D 16 s N ნიშნებით, ჩვენებური მხვნელ-მთესველს მოსწონს და სწრაფად ვრცელდება. როგორც საგაზაფხულოს, ისე საანეულეს კარგად ხნავს ოთხი ან ხუთის უღლის ხარით 3—4 გოჯის სიღრმეზე, გამოგვალულსაც «ძაან ანგრევსო» — ამბობს ჩვენებური. მხოლოდ ამ გუთანს ვიწრო ფრთა აქვს და ბელტს ბელტზე ისე აწყობს, რომ საშარე თესლისთვის საკმაო ღრმა არ უკეთდება. მიწა თუ ამ გუთნით დიდის ხნის მოხნულია და მერე თუ ეს ხნული მოირწყო, რაც, უეჭველად, ჩვენში საჭიროა ანეულისათვის, ბელტი იშლება, ხნული სწორდება, ამიტომ თესლი ღრმად არ ვარდება მიწაში და ზემოდგან რჩება. ეს ნაკლი იმით შეავსო მხვნელმა, რომ 3—4 თითის სიგანეზე ფიცარი ჩაუმატა გუთნის ფრთას ქვემოდგან, მაშინ გუთანმა ნახნავი შორს გადიტანა და საშარეც ღრმა დარჩა. საკკას ქარხანამ ამას ყურადღება რომ მიაქციოს დ გუთანს ცოტა განიერი ფრთები დაასხას, მაშინ ჩვენის მამულისთვის ეს გუთანი დაუფასებელი იქნება დ არც გუთნის-დედის ხელის მიკიდვაა საჭირო.

ჩვენებურს გლეხს არა ჰყოფნის მარტო ნადელი და სხვა მამულსაც იღებს მემამულისაგან სამეოთხედოდ, სამესამედოდ, სალალოდ. არიან ისეთნიც, რომლებსაც ბატონისაგან არა რგებიათ ნადელი, მაგრამ სყიდვით შეუძენიათ სხვა მამული. თუმცა ზოგს დაუხსნია ნადელი, მაგრამ უმრავლესობას ფიქრადაც არ მოსდის მისი შესყიდვა. ბევრია ისეთი გლეხი, რომელსაც ნადელი-კი არ დაუხსნია, მაგრამ სხვა გარეშე მამული უყიდნია, ან გირაოთი უჭირავს. თუ კი გამოჩნდება გასასყიდი, ან დასაგირავებელი, ან საიჯაროდ ასაღები მამული, გლეხნი მაშინვე ერთმანეთს ეცილებიან მამულის შეძენაში; ამ შემთხვევისათვის კერძო კაცებისაგან, რაც უნდა დაუჯდეთ, ვალს იღებენ და ცდილობენ მამული ხელიდან არ წაუვიდეთ, ნადელის შესყიდვისთვის ხაზინიდგან ოცდაათისა და 40 თუმნის გამოტანას და იმათ ვალში ჩავარდნას, რჩევაბენ რამდენიმე კოდი ჰპინახული აძლიონ მებატონეს ყოველ მოსავალზე; თუ ბევრი მოუვა ნადელიდგან მოსავალი — ბევრი შეხვდება დ მეოთხედი მებატონისაა, თუ სულ მოუცდა — ბატონსაც არაფერი ერგება. მაინცა-და-მაინც, ნადელში გლეხი მემამულეს ჰპინახულით უსწორდება, რაც ძლიერ ეადვილება, ეშაღავათება. ხაზინიდგან ნადელის შესასყიდლად ფული რომ ივალოს, წელიწადში 19—50 კაპეიკის გარდახდა საშინლად უძნელდება. ჰპინახული უდროუდროოდ იაფად უნდა გაჰყიდოს, ელიჰპინოს ვაჭრებს, მოაგროვოს ფული, შემდეგ ხაზინაში ელიჭიროს და ბარათის მისაღებად ჩასვლა-მოსვლაში ორიოდე დღე მოსცდეს. თუ ვინიცობაა ნადელის შესყიდვის შემდეგ ოჯახში ორი ძმა იყო, გაიყარნენ და ერთი მათგანმა, რომელისამე შემთხვევით, ხაზინაში შესატანი ფული ვერ შეაგროვა, მეორესაც არ შეაქვს, რადგან ხაზინიდგან ერთი მებატონის გლეხებს ნადელის შესასყიდად ფული ეძლევათ ერთი-ერთმანეთის თავმდებობის ქვეშ. მემამულეს, გლეხს თუ თავადს, — მხვნელ-მთესველს ჰპინახულით გასასტუმრებელი ვალი ბევრად ურჩევნიან მცირესარგებლიან ფულით გადასახდელ ვალს და კარზე იასაულების ჩაყენებას. თავის საკუთარი ფული თუ ექნება კაცს, იმითი ხომ სხვა მამულსაც იყიდის და ნადელი სად წაუვა?! ასე სჯის აქაური გლეხი ნადელის დახსნაზე. არც მემამულენი უთმობენ სარწყავ ნადელს დღიურს ხუთ თუმან ნაკლებ. მებატონეებმა იწვნიეს წვენი უმამულობისა, რაც გაფლანგეს, ხომ გაფლანგეს, და დანარჩენს მამულს ხელიდგან არ უშვებენ, ამაგრდნენ.

მემამულეს მამული ბევრგან წვრილწვრილად, აქა-იქ ნაჭრობით რომ ექმნება მოფანტული, ეს მისთვის სარფაა: ყოველ ხვნის დროს, ყოველ მიწას ორთავე მხრივ, თუ შესაძლოა ოთხსავე მხრივ, სხვის მამულიდგან თითო ფრთა ნახნავს შეჰმატებს და რამდენსამე წელს მამული ორი-სამიოდ დღით გაიზრდება. ამიტომ მიწის გამზიჯვნელოაგან ჩაყრილი მიჯნები ხშირად თავის ადგილას არ არის, ან სრუ-

ლად აღარ ეტყობა და ყოველ ხნის დროს საზღვრებზე არის ჩხუბი და დავი-დარაბა. თუმცა ზოგიერთ მემამულეს სურვილი აქვს, დაქსაქსული მამული გაიერთიანოს, მაგრამ ვერ ახერხებს: უმრავლესობას, რასაკვირველია, ყოველ მხვნელ-მთესველს სადერდელი აქვს აშლილი მამულის გაფართოება-შემატებისა ზემოთ მოყვანილის «სისტემით».

მამა პიროსელი.

(დასასრული იქნება)

## ჩვენებური ამბები

### სოფ. ტობანიერი

მკვლელობა.—საარაყე ქვაბის დაჭერა.—ადგილობრივ სასწავლებელში პარაკლისის გადახდა რუსეთის იაპონიაზედ გამარჯვებისათვის.

ამ ბოლოს დროს სოფლებში თანდათან იმატა სამიკიტნოების რიცხვმა, რასაც ხშირად ცუდი შედეგი მოსდევს. სოფლის ბიჭები შეიქმნებიან თუ არა ცამეტ-თოთხმეტის წლისა, სამიკიტნოში დგებიან მოჯამაგირეებად, სადაც ეჩვევიან უქმობას და ყოველსავე ცუდ ზნეს. ოთხი-ხუთის წლის შემდეგ ისინი თითონ ჰმართავენ სასმელების დუქნებს და «ხაზეინობას» ეწევიან, როდესაც ჯერ კიდევ სხვის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყვნენ. მათი ჭირისუფალნიც გახარებულნი არიან და საქებრად მიაჩნიათ თავიანთის შვილების მოქმედება. აი, ამგვარმა გარემოებამ როგორ მოუღო ბოლო ერთს აქაურს 19 წლის ყმაწვილს, რომელსაც სოფ. ჭაგანში ჰქონდა სამიკიტნო: ეს ყმაწვილი, გვარად სანიკიძე, დაჰმეგობრებია ერთს მრუშე დედაკაცს, რომელსაც ამავე დროს საქმეც ჰქონია აქვე ვიღაც დურგალთან. ერთ ღამეს ეს ქალი ჰყოლია დაპირებული დურგალს სადღაც მინდორში; გაუგია რა ეს სანიკიძეს, ქალი თავის ოთახში წაუყვანია და დაუმწყვდევია, თითონ-კი ჩაუცვამს ქალის ტანისამოსი და აღნიშნულ ადგილას წასულა. იქ დურგალიც დახვედრია, რომელიც ამ სანიკიძეს წაუქცევია და ბევრი უცემია, შემდეგ იქვე თხრილში გადაუგდია და წასულა. დურგალი, როგორც იყო, გალახული მისულა თავისს ბინაზედ. მეორე დღეს სანიკიძეს უკითხავს მეზობელ დურგლისათვის: «რა ჰქენი, როგორი დრო გაატარე წუხელიო». დურგალი გაბრაზებულა, წამოუსვია ხელი ნაჯახისათვის და ექვსად გაუპია თავი. ცოცხალ-მკვდარი სანიკიძე მოიყვანეს თავის სახლში და ერთ კვირას ძლივს იცოცხლა.

ამას წინად ტობანიერში მოდიოდა სამტრედიიდგან საბაჟოს მოხელე. რიონის ბორნაზედ გამოსვლის დროს შეუნიშნავს ჩალვადარისათვის ძრებში ჩადგმულ დოქებით შინ გამოხდილი არაყი, რომელსაც ზევით ხილი და სხვა რამ ჰქონია გადაფარებული. მოხელეს შეუჩერებია ეს ჩალვადარი და დაუწყია ძრების ჩხრეკა; ამ დროს ჩალვადარს მოუსწვრია მისთვის, ამოუღია არაყიანი დოქი და იქვე დაუნარცხებია მიწაზედ და თვითონ გაქცეულა. მოხელეს უკითხავს და დაუწერია იმის სახელი და გვარი; ის აღმოჩნდა ტობანიერის საზოგადოების მცხოვრები. მოხელე მოვიდა თუ არა ტობანიერის სოფლის სამმართველოში, მაშინვე უბრძანა მამასახლისს, წაეყვანა სოფ. კუშუბოურში იმ ჩალვადრისას. ეს მოხელე, მამასახლისი და მისი თანაშემწე წავიდნენ კუშუბოურში შუადღისას და ამ დროს აგერ შუა სოფელში წაადგნენ თავს კიდევ სხვას, ე. სანიკიძეს, რომელსაც შემოედგა საარაყე ქვაბი და ხდიდა არაყს. მოხელე მივარდნილიყო უცებ და, თუმცა გლეხს გაეწია წინააღმდეგობა, ქვაბის თავი გადაეგდო, არაყიც დაეღვარა და გაქცევას აპირებდა, მაგრამ მოხელეს დაემორჩილებინა და თავის ქვაბ-მოწყობილებით დაჭერილი მოიყვანა სოფლის სამმართველოში, ქვაბი ჩამოართვა, შეუყენა ოქმი და ბოქაულს გადასცა.

თებერვლის 27-ს ტობანიერის ორკლასიან სამინისტრო სასწავლებლის დარბაზში ყველა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სხვათა თანადასწრებით, სასწავლებლის სამღვთო სჯულის მასწავლებელმა მღვდელმა გადაიხადა პარაკლისი რუსეთის იაპონიაზედ გამარჯვებისათვის. პარაკლისის გადახდამდე სასწავლებლის ზედამხედველმა აუხსნა დამსწრეთ საბაბი და მნიშვნელობა ომისა.

ვლადო ბზვანელი

—

**თელავი.** ძლივს გაეხსნათ თელაველებს გაზეთების კითხვის იშტა. აქამდე ორი-სამი კაცი არა ჰკითხულობდა გაზეთს, ეხლა-კი, საითაც გაიხედავ, ყველას გაზეთი უჭირავს ხელში. რამ მოახდინა ასეთი ცვლილება? რა იპოვეს გაზეთებში ისეთი? რა და ომი რუსეთისა და იაპონიისა.

ყოველ საღამოს გულის ფანცქალით ელიან ფოსტის მოსვლას; მოვა და ნახე ხალხის დაფაცურება!

აქ ერთი პატარა ბაზასხანაა, გამოიტანენ გაზეთს ბაზაზები, როდესაც მუშტარი შემოაკლდებათ, და ჰკითხულობენ ომის ამბებს. იქვე გვერდზე რომ რაიმე შემძრწუნებელი ამბავი ეწეროს, ზედაც არ უყურებენ. შემოეხვევიან გარშემო, თითქოს საცა არის ოქროები გადმოსცვივა, არა მე მეტი ავიღო, არა მეო. გაათავებენ გაზეთის კითხვას და ყველანი თავიანთ მაღაზიისაკენ გასწევენ და ერთმანეთს უამბობენ: დიდი ძგარა-ძგური ყოფილა ზარბაზნებისაო.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში აქ ორი-სამი ქურდობა მოხდა, დუქნების გატეხა და სახლისა. ცოტაოდენი წვიმებიც იყო, რაიცა საკმაო არის აქაურ ქუჩების ასალაფლებლად.

ახლა ცოტა რამ ბიბლიოთეკაზედ. შარშან ზაფხულში, სააგარაკოდ მოსულების დახმარებით, გამართეს სეირნობა. იქიდან დარჩენილ ფულისათვის მიუყვიათ ხელი და ხარჯავენ, თითქოს ულეველი იყოს. ახლა თუმცა 80-ზედ მეტი წევრი ჰყავს ბიბლიოთეკას, მაგრამ რას იზამს თუ გინდა ორასამდეც ავიდეს, როდესაც თითო წევრი წელიწადში 1 მანეთს იხდის. ეს მარტო ბიბლიოთეკარის ჯამაგირია. დანარჩენი ხარჯები ვიღამ უნდა ზღოს? ვინა და გამგეობამ უნდა აღმოუჩინოს რაიმე დახმარება, ან წარმოდგენის გამართვით, ან სხვა რამ ღონისძიებით. ერთის სიტყვით, რითიც-კი შეიძლებოდეს. ნათქვამია, ზღვა კოვზით დაილიაო. იმისი არ იყოს, ერთიორი შაური აქვთ, დაიხარჯება და მერე იტყვიან, ბიბლიოთეკა უქიფოთ არისო. კარგი იქნება, ვიდრე სატკივარი გაძლიერდებოდეს, წამალი მივაშველოთ, თორემ მერე გვიან-ღა იქნება.

კარგი რომ შურდულის რედაქტორი შორს არის ჩვენს ბიბლიოთეკაზე, თორემ, ვინ იცის, რაებს არ დაარქმევდა.

ქვემო ბაზრის ეკალი.

## ქართული წარმოდგენები ჩვენს პროვინციებში და მისი ნაკლი.

წინად თუ მარტო ქალაქები სტკბებოდა ქართულ წარმოდგენების ცქერითა და სმენით, წინად თუ ხელოვნებას შეძლებულ ქალაქებში ჰქონდა გასავალი, დღეს განვითარებულმა ხელოვნებამ თავისი ნათლით-მოსილი სხივები შორს გასტყორცნა და მივიწყებულ-მიყრუებული პროვინციელნიც გაანათა და გააცისკროვნა!—დღეს ძალიან ძვირად მოიძებნება საქართველოში იმისთანა სოფელი, სადაც ერთხელ მაინც არ გამართულიყოს ქართული წარმოდგენა და მისის სმენითა და ცქერით არ დამტკბარიყვნენ ბედისაგან ტანჯულნი სოფლელნი.

არის ჩვენში დაბები, მაგალითად: სენაკი, სამტრედია, სურამი, ხონი, დიდიჯიხაიში, ცხინვალი, ხაშური, ბანძა, ქარელი, საქაშეთი, ქვიტირი, ხიდისთავი და სხვა მრავალნი, სადაც უთამაშიათ ჩვენს მსახიობებს პროვინციის მოხლართულ სცენაზედ და თავის მოხდენილ თამაშით უზომოდ შეუყვარებიათ პროვინციელებისათვის ხელოვნება, სცენა და თეატრი. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენში არიან ისეთნიც, რომელთაც თეატრი, წარმოდგენა რაღაც ფუქსავატურ დაწესებულებად მიაჩნიათ; თეატრი, ეს ხელოვნების ტაძარი, მათს თვალში გარყვნილების სალაროა, მოთამაშე მსახიობნი ტიკინა-მასხარები! ვის მიუძღვის დანაშაული, რომ ზოგიერთებს ამგვარად შესძაგებიათ ხელოვნება?! უპირველეს ყოვლისა, დანაშაულია სოფლის შეგნებული ელემენტი, რომელიც ამ ჟამად თითქმის ყველა სოფელსა ჰყავს; ამ შეგნებულმა ელემენტმა, როდესაც პროვინციაში წარმოდგენა იმართება, ყურადღება უნდა მიაქციოს მოთამაშეთ: ვინ არიან ისინი?.. ესმით თუ არა ხელოვნების სიდიადე?. რეპეტიციის ჟამს ნათლად შეუძლიან შეგნებულმა კაცმა გამოარკვიოს, პიესის გმირების დახატვა შეუძლიანთ თუ არა პროვინციაში დროებით მოვლენილ სცენის-მოყვარულთ. როდესაც დარწმუნდება ადამიანი, რომ სცენის-მოყვარულთ ძალა არ შესწევთ ამა თუ იმ პიესის წარმოდგენისათვის. როდესაც დარწმუნდება, რომ ხელოვნება ამ ვაჟბატონებს სამასხროდ აუგდიათ და ტალახში თელავენ მისს სიდიადეს, მაშინ ყოველი ღონე უნდა იღონოს, რათა უვიცნი მსახიობნი დაუყოვნებლივ განდევნოს სცენიდგან და ხალხის «ესტეტიური» გემოვნება შეუღახველი დასტოვოს.

არა ნაკლები დანაშაული მიუძღვით ხალხის გემოვნების დაჩლუნგვაში ზოგიერთ ჩვენ მსახიობებსაც. ხშირად მთავრობა არ აძლევს ნებას სცენის მოყვარეთ უმსახიობოდ რომელსამე პროვინციაში წარმოდგენა გამართონ. მაშინ სცენის მოყვარენი მიჰმართავენ მსახიობს სიტყვიერის თხოვნით: «ამა და ამ სოფელში წარმოდგენა გვინდა გავმართოთ და იმედი გვაქვს მიგვყვები სადაც ჯერ არს და წარმოდგენის ნებართვას აგვიღებო!» მსახიობი ხშირად არ შედის გარჩევაში, თუ ვინ თამაშობს, რას თამაშობენ, ძალუძთ თუ არა არჩეულის პიესის წარმოდგენა, და ამიტომ მსახიობის სახელით უხეირო სცენის მოყვარენი უსინიდისოდ სთელავენ წმინდათა-წმინდა ხელოვნების სახელს.

ამ რამდენისამე ხნის წინად ერთ ერთს პროვინციაში ვესტუმრე ერთს ჩემ კარგს ნაცნობს; ნაცნობმა მითხრა: «ხვალ აქ წარმოდგენაა, იმედი მაქვს, მოცდი და დაესწრებიო!» მე დავთანხმდი. მეორე საღამოს წავედით წარმოდგენაზედ, თეატრის კარებზედ ვეებერთელა აფიშა იყო გაკრული: «ამა და ამ დღეს, ამა და ამ არტისტის მონაწილეობით (არტისტის სახელი მსხვილის ასოებით იყო გამოტყლარჭული) გაიმართება წარმოდგენა, ითამაშებენ ისტორიულ დრამას, და დასასრულ ვოდევილს». მართალი გითხრათ, გამეხარდა, როდესაც მსახიობის სახელი ამოვიკითხე აფიშაში; ვიფიქრე, წარმოდგენა ურიგოდ არ ჩაივლის-მეთქი! აი, აიხადა ფარდა და სცენაზე დავინახე უსუსური სცენის მოყვარენი,—ბავშვები, რომლებიც უთავბოლოდ ტიტინებდნენ სცენაზედ, საცოდავ მაყურებელთ თავიანთ გამუდმებულ უზრდელის ლაპარაკით უხერხულ მდგომარეობაში აყენებდნენ. სცენა მხოლოდ კარიკატურა იყო სცენისა, გრიმი—უმსგავსი! ვიკითხე: ვინ არის ეს არტისტი-მეთქი? «რას მასხარობ, არტისტი რომ იყოს, ასეთი უმსგავსობა იქნებოდა!»—მიპასუხეს. რის ღირსია ის არტისტი, რომელმაც თავის სახელით უსუსურ ბავშვებს დაამახინჯებინა პიესა?!—გაკიცხვის, გალანძღვის, გათახსირების!

სწორედ უნდა მოგახსენოთ, თავისის დაუდევრობით ზოგიერთნი მსახიობნი თავიანთ სახელს თითონვე აფუჭებენ და საზოგადოებაშიაც ნდობასა და ყოველგვარ სიყვარულს ჰკარგავენ! საჭიროა, აუცილებლად საჭიროა, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ; საჭიროა დამსახურებულმა მსახიობებმა დიდი ყურადღება მიაქციონ უმცროს მსახიობთა მოქმედებას, საჭიროა პროვინციაში მცხოვრებმა შეგნებულმა კაცებმა მოწიწებით მოჰკიდონ ხელი ხელოვნების საქმეს და შეძლებისადაგვარად ხალხს წარმოდგენები პროვინციის პატარა სცენიდგან ხელოვნურად და გარკვევით დაანახვონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ხალხს შეუყვარდეს სცენა, თეატრი, ხელოვნება და დღეს ზოგიერთ პროვინციელთა მიერ აუგად წუნებული თეატრი და ხელოვნება საყვარელი და ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტი შეიქმნეს.

ილია ბახტაძე.

## ნარკვევი

ა. სტოლიპინი გახარებული სწერს «ს.-პეტ. ვედ.»-ში, რომ პირველად გაისმა სამეფო ტახტის კვარხცლბეკიდან სიტყვა, მწერლობის მუშაკთადმი მიმართული, და ეს გარემოება ნამდვილი დღესასწაულია მწერლობისათვისაო.

ხელმწიფე იმპერატორმა ინება და მოწყალედ აღნიშნა დიდი გავლენა მწერლობისა და მადლობა ბრძანა მისის მოღვაწეობისათვის. მონარქის სიტყვაში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ, არის გამოთქმული,—მეტს ვიტყვი,—უმაღლესად ნაბრძანები, თუ რას უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება მწერლობამ. მეფემ ბრძანა მრჩობლედის ძლიერებით, რომ ერთად-ერთი ღირსეული, ერთად ერთი წმინდა საქმე მწერლობისა არის თქმა სიმართლისა, მარტო ოდენ სიმართლისაო.

სასიამოვნოა, სასალბუნოა ეს სიტყვები! რა დიდებული, თან მარტივი, სასურველი საქმეა, მაგრამ თან რაოდენ ძნელი ასასრულებელი და განსახორციელებელია ძებნა სიმართლისა და ღაღადება მისი! რომელი პატიოსანი მწერალი არ ოცნებობს მაგ სიმართლისათვის, მაგრამ რომელს არ დაჰხვედრია წინ ეკლიანი გზა და არ გადაჰღობებია დაუძლეველი დაბრკოლებანი?

თვით ცხოვრებაც ჰლახავს მართალს და ძნელია სიმართლის პოვნა იქ, საცა ეგ სიმართლე მიუკვლევად იმალება; ძნელია მისი აღდგენა იქ, საცა იგი გაუქელია ბრბოს, ანგართა უმეტესობას, უმრავლესობის ძალ-მომრეობას. სიმართლის რაინდებად რჩეულნი რჩებიან, ის რჩეულნი, რომელთაც ზეციური მადლი იწვევს ამ წმინდა სამსახურისათვის.

დასასრულ, ასე ათავებს თავის წერილს ავტორი, თვით რედაქტორი გაზეთისა:

საკმაო არ არის იგრძნო და გამოჰხატო გონებით სიმართლე. უნდა გქონდეს უფლება და შეძლება მის გამოქვეყნებისაც. დღემდე ამ მხრივ მძიმე გარემოებაში ვიყავით. მწერლობას თავს დასტრიალებს რიცხვ-მრავალი აღკრძალვა. ჯერ იმ ზომამდე თავისუფალი არ არის, რომ შეეძლოს მკაფიოდ და უშიშრად გამოსთქვას სიმართლე. ხშირად აუკრძალავთ ამა თუ იმ აზრის გამოთქმა, არა იმიტომ, რომ სიმართლეს ეწინააღმდეგება, არამედ იმიტომ, რომ არ ეთანხმება იმათს აზრს, რომელთაც ადგანან ისინი, ვისაც ძალი და ღონე შესწევს, ამოარჩოს იგი აზრი დუმილით. იმ უფლებისათვის, რომ მწერალს თავისუფლად და გულახდით შეეძლოს ლაპარაკი, დიდი ხანია იბრძვიან უკეთესნი კაცნი და, მართალი უნდა ვსთქვათ, ბევრი რამეც მოახერხეს, მაგრამ რაც მოპოვებულია ამ მხრივ, ჯერ კიდევ საკმაო არ არის. დღესაც ყოვლად სამწუხარო სიმართლე,—რომელიც, მოვალენი ვართ, სულ ქვეშა ვსთქვათ,—ის არის, რომ ყოველთვის ნებას არ გვაძლევდნენ სიმართლე გვეთქვა.

ახლა-კი დიდი ნაბიჯი იქმნა ამ მხრივ წინ-წადგმულიო. მწერლობის ყველა პატიოსანმა, ყველა მართლის მოყვარულმა მსახურმა, შეიძინა დიდი, ყოვლად-ძლიერი მოკავშირე. ეს მოკავშირეა ძალუმი, მკაფიო მეფური სიტყვა, ბრძანება მეფისა.

## წერილი

### რედაქციის მიმართ

«ივერიის» 248 №-ში მეთაურ წერილის ავტორი უბრუნდება კახურ ღვინის საკითხს და. სხვათა შორის, იხსენიებს ჩემს წერილს (იხ. «ცნ. ფურც. № 2304). ამიტომ ნება მიბოძეთ, მეც დავუბრუნდე აღძრულ საკითხს, მით უმეტეს, რომ დღეს კახეთის მევენახეთა მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია და თხოულობს ყურადღებას.

რა არის სასურველი და სანატრელი კახელ მევენახეთათვის? ჩემის აზრით, დარწმუნებული ვარ, მრავალნი დამეთანხმებიან, რომ კახელ მევენახეთათვის სასურველია:

1) რომ ყველა მევენახის ღვინო იყიდებოდეს იმ ფასად, რომელიც ხელს შეუწყობს კახეთის ამ ერთად-ერთს დიდ-მნიშვნელოვანს სამეურნეო წარმოებას—მევენახეობას.

2) რომ ყველა მევენახის ღვინო იყიდებოდეს ღირსეულ ფასად და არა რჩებოდეს გაუყიდავი.

3) რომ ღვინო თვით მევენახემ მიაწოდოს მხმარებელს სხვის უშუამავლოდ და თუ ამ მოწოდების დროს საშუამავლოს რამე ჩამორჩება, ეს თვით მევენახეს ერგოს, და სადაც მხმარებელს ვერ მიაწვდის ხელს, იქ ერთის შუამავლის ხელით მაინც მიაწოდოს.

პირველ საგნის კადასწყვეტად საჭიროა ვიცოდეთ, რა ფასი შეუწყობს მევენახეობას ხელს ფასის რაოდენობის გადაწყვეტა სამარადისოდ შეუძლებელია, რადგანაც იგი, თანახმად დღიურის პირობებისა ცვალებადია. ჩვენ შეგვიძლიან დღევანდელ პირობების მიხედვით დავსდოთ ფასი. ეს პირობები გვეუბნება, რომ ტფილისში ჩატანილზედ ურმიდან უნდა გაიყიდოს ბოთლი 15 კაპ. თვით მეთაურის დამწერი იხსენიებს სხოლიოში, რომ „დიდ-ძალი წმინდა კახური ღვინოა ჩამოზიდული ყოვლად უზადო, რომელიც არც ერთ ფირმის პირველ ნომრის ღვინოს არ დაუვარდება ღირსებით და ვედრო 2 მ. 40 კაპ. იყიდება, ე. ი. ბოთლი 15 კაპ." *). რასაკვირველია, ღვინის ჩამოტანით თუ ხელს მისცემდეთ, კიდევ ნაკლებად გაჰყიდდნენ, დაბრუნდებოდნენ და კიდევ ჩაიტანდნენ. ამისათვის დაბრკოლება არ იქნებოდა, წელს განსაკუთრებით უხვი მოსავალია ქვემო კახეთში. თუ მათ არ შეუძლიანთ ნაკლებ გაყიდვა, უნდა ვიფიქროთ, რომ სხვაც ვერ შეიძლებს.

აბა ამ ფასს, ე. ი. 15 კაპ., მიუმატეთ ყველა ის ხარჯი, რაც ღვინის მოყვანისათვის აუცილებელია, ე. ი. აქციზი, სადგომის ქირა, სხვა-და-სხვა ჭურჭელი, მუშა უბრალო და მუშა მცოდნე, პრობკა, წარწერა და სხვ. და სხვა და დაინახავთ, რომ 15 კაპ. გაყიდვა შეუძლებელი იქნება. მართალია, მე ვსთქვი, რომ 15 კაპ. 20 კაპ. კიდევაც ჰყიდის «საზოგადოება» ღვინოს და არც წამომცდენია ეს, ვიცი შემთხვევები, გაუყიდნია ამ ფასში ღვინო, ახლაც 20 კ. გაჰყიდის, ვინც ბოთლებში ჩამოასხმევინებს ღვინოს.

*) ნუ დაივიწყებთ, რომ ურმიდან იყიდება ღვინო წლევანდელ მოსავლისა, ე. ი. ჯერ მაჭარი, «კახეთის საზოგადოება»-კი ჰყიდის ძველ ღვინოს, რომელსაც მრავალი უპირატესობა აქვს ახალთან შედარებით.

ავტ.

გამოდის, რომ დღევანდელ პირობების მიხედვით, მევენახეობის ხელ-შესაწყობი ფასი ტფილისში ჩატანით და უხარჯოდ, რაც ღვინის ვაჭარს ხარჯი მოსდის ბოთლი 15 კაპ. არის, ისიც პირველი ნომრის ღირსების ღვინისა. ხოლო თუ ამ ღვინოს მხმარებელთან მისვლამდე ზედ-მეტი ხარჯი ექნება, ეს ხარჯიც მხმარებელმა უნდა გადიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფასი მევენახეობის ხელის შემშლელი იქნება.

აქ ჩამოთვლა ყველა წვლილისა, რაც საჭიროა ვენახის შემუშავებისათვის და საზოგადო ჯამის გამოანგარიშება, უადგილოდ მიმაჩნია, რადგანაც ყველა ეს ცვალებადია, თანაც სხვა-და-სხვა ადგილას ერთსა და იმავე დროს განსხვავებულია: აპრილში და მაისში წელს მატნიდან შამაანამდე დღიურ მუშის ფასი 50—60 კაპ., და შამაანიდამ 80 კ.—1 მ. 40 კაპ. ფასობდა. ერთი შეიძლება უეჭველად ითქვას, როცა კახურად გაკეთებული ვენახები პლანტაჟით ნაკეთების ვენახებით შეიცვლება, მაშინ ნაკლებ ფასად გაყიდვა ხელის შემშლელი არ იქნება მევენახეობისა, რასაკვირველია, შედარებით იმ გზებისა, რაც დღეს ხელ-შემწყობად არის მიჩნეული.

რომ კახეთის ყოველ მევენახის ღვინო გაიყიდოს დამოუკიდებლივ, საჭიროა, რომ არა-კახური ღვინო კახურის ღვინის სახელით არ იყიდებოდეს არც ტფილისში და არც სხვაგან. ეს მარტო კანონმდებლობითი წესით შეიძლება მოხდეს. ჯერ-ჯერობით ამისთანა კანონი არ არის. თუნდა იყოს კიდეც, ძნელია ამისთანა კანონის სავსებით განხორციელება.

კარგა ხანია შეიგნეს კახელმა მევენახეებმა, რომ კახურის ღვინის გასაღებისათვის უნდა იზრუნონ. ჯერ თვით მევენახეებმა გახსნეს ღვინის სარდაფები და დაიწყეს ღვინით ვაჭრობა, მაგრამ ამისთანანი ცოტანი იყვნენ. ამიტომ საქმეს ბევრს ვერა შველოდნენ. ახლა შესდგა «კახელ მევენახეთა საზოგადოება», მაგრამ ძალიან მცირე თანხით; ამიტომ მაშინვე ფართოდ მქლავის გაშლა ვერ მოახერხა. თუმცა ეს «საზოგადოება» თანდათან იზრდება, მაგრამ ამისი ზრდის მსვლელობა მეტად დინჯია და სხვანაირად არ შეიძლება იყოს იმ პირობებში, რომლებშიაც დღეს იგია. ამ საზოგადოების გამგენი რომ მარტო ღვინის გასაღებას ანდომებდნენ თავიანთს ძალ-ღონეს, უეჭველია, საზოგადოების ზრდა იმატებდა. ეს ასე არ არის. «საზოგადოების» ძირითადი თანხა ნაღდი ფულისა მეტად მცირეა. გამგენი იძულებულნი არიან სხვისა ფული დაიხმარონ საქმის საწარმოებლად. «სხვისა ფული»-ს პატრონნი, როგორც რიგია, ფრთხილობენ და ეს სამართლიანი სიფრთხილე ბევრჯერ დიდ გაჭირვებაში აგდებს გამგებელთ. ძირითადის თანხის გადიდების საღსარი არ არის: შემოსავალი «საზოგადოებისა» ვერც-კი აკმაყოფილებს წევრთა დღიურ საჭიროებას. რა ჰქნას გამგეობამ, როცა ბავშვების სასწავლებელი და საზრდოებელი ფულისათვისაც ამან უნდა იზრუნოს, ბანკების ვალიანი, შეტანისათვისაც ამან უნდა იზრუნოს, ქალების ქრთამ-მზითევისათვისაც ამან უნდა იზრუნოს, სამარხ ხარჯებისათვისაც, ვენახების წამლობისათვისაც, მარნის მოსაწყობ იარაღისთვისაც და სხვა და სხვა. დღევანდელ პირობებში «საზოგადოების» ზრდის ნაბიჯი არ იმატებს, არ აჩქარდება. ამიტომ საჭიროა ხდება სხვა საზოგადოების შედგენა. მეორე საზოგადოება სრულებითაც არ იქნება საშიში აწ არსებულ საზოგადოებისათვის. ორისავე საზოგადოების დედა-აზრი და დანიშნულება ერთი და იგივე იქნება. ამათი კონკურენცია იქნება ზომიერი, გადაჭარბება დააშორებს დედა-აზრსა და დანიშნულებას. სამართლიანობა მოითხოვს, ზომიერი კონკურენცია ჰქონდეთ, ამას მხმარებელის ინტერესიც მოითხოვს.

სხვა საზოგადოების დაარსება შესაძლებელ ჰყოფს, მთელის კახეთის ღვინო ამ ორ საზოგადოების ხელში მოგროვდეს ამ ორი-სამი წლის განმავლობაში, რაც ძალიან საჭიროა, რომ კახეთში ვენახები შერჩეთ მათს აწინდელ პატრონებს. სწორედ ამ წინაზე ვინახე ბაქოელი მილიონერი, რომელიც ორი-სამი კახელ მევენახის მამულის გასასინჯად მიემგზავრებოდა. ეს-კი დიდად საგულისხმოა, მით უმეტესად, რომ ერთმა მევენახეთაგანმა, რომლის მამულის გასასინჯადაც მიდიოდა მილიონერი, დიდი ხანი არ არის, რაც თვითონ შეიძინა ეს მამული. რათა ჰყიდიან, რომელ გაჭირვებისათვის? ჩვენ ამაზედ პასუხი რომ ვსთქვათ, იქნება გაგვიმტყუნდეს, მაგრამ უტყუარად იმის თქმა-კი შეგვიძლიან, რომ ეს გამყიდველები დამნაშავენი არიან კახეთისა და კახელების წინაშე.

დიახ, საჭიროა და ძალიანაც საჭიროა, რომ შესდგეს კახელ მევენახეთაგან ახალი საზოგადოება, ამისათვის საუკეთესო დროდ ეს წელიწადი უნდა ჩაითვალოს. არავითარი

შიში არ მოელის არც პირველსა და არც მეორეს. პირიქით ორივენი ერთმანეთს ბევრად ხელს შეუწყობენ. თუ შიში რამ არის, ისევ მხმარებელთათვის, რადგანაც ამ ორს საზოგადოებას, რომელთა ხელშიც იქმნება მთელის კახეთის ღვინო, შეუძლიანთ გაბატონდეს და ეს ბატონობა მხმარებლის წინააღმდეგ მოიხმარონ, როგორც დღეს შაქრის, ნავთისა და სხვა მწარმოებლები გვეგცევიან.

მევენახეთაგან ახალი საზოგადოების დაარსებისათვის საჭიროა ძირითადი თანხა ნაღდ ფულად, საჭიროა მცოდნე და გამოცდილი ხელმძღვანელი. ორივე საშუალება ერთი კაცს აქვს და ეს კაცი არის ბ-ნი დ. ზ. სარაჯიშვილი, თუ-კი ის დითანხმდება ხელმძღვანელობაზედ ზემორე აღნიშნულის აზრის განსახორციელებლად.

კარგად ვიცი, რომ ბ-ნი სარაჯიშვილი კახეთის ერთი დიდი მევენახეთაგანია და ისიც, რომ იგივე ქ. ტფილისის ერთი დიდი კაპიტალისტთაგანია. იგი ახალ საზოგადოების წევრად და ხელმძღვანელად შეიქმნება, როგორც მევენახე, და არა როგორც კაპიტალისტი, საზოგადოებისთვის საჭირო ფულს კიდევ იშოვნის უფრო სასარგებლო პირობებით; ვიდრე აწ არსებული «საზოგადოება» შოულობს.

მოსალოდნელი კონკურენცია ვენახის შესამუშავებელ ხარჯისაგან დამყარებულ ზომას ვერ ვერ გადასცდება. ამ ზომის დაცვა საჭიროა თვით მევენახეთა არსებობისათვის. ამიტომაც დამარცხება არც ერთს საზოგადოებას არ მოელის.

რაც უფრო ადრე დაარსდება მეორე საზოგადოება, მით უფრო ადრე იქმნება დახსნილი გაჭირვებისაგან კახელი მევენახე, რომელსაც აწინდელ პირობებში დიდი ხიფათი მოელის.

„ივერიის“ 242 №-ში ბ-ნი ივ. მჯ—ლს მოჰყავს ანგარიში, თუ ბოთლი ღვინო აბაზად გაიყიდა, საპალნეზედ 32 მან. მოგება იქნებაო. მე სრულიად ვეთანხმები ამ ანგარიშს, ხოლო ეს ანგარიში არ შეეფერება «კახეთის საზოგადოებას», რადგანაც ადებული რიცხვი «საზოგადოების» ანგარიშზედ არ არის დაფუძნებული. ეს ანგარიში ამბობს, რომ საზოგადოება მევენახეთა სასარგებლოდ, ტფილისში ჩასატანი ფასის ზედ მომატებით, ვედროზედ. საშუალო რიცხვით, იძლის 2 მან. 65 კაპ. ამასთან ანგარიშის მე-12 გვერდზედ აღნიშნული რიცხვები გვეძნება, რომ ვედროზედ 55 კაპ. მეტი ხარჯი აქვს ვედრო ღვინის გასაღებას.

ჩვენ ბ-ნ ივ. მჯ—ლისათვის არც დაგვიწამებია მტრობა «საზოგადოებისა» და არც დავწამებთ. საკითხი კახურ ღვინის გასაღებას შეეხებოდა და ჩემგან საუკეთესო საშუალებად აღიარებული იყო ახალის ამხანაგობის შედგენა ზემორე აღნიშნულ პირობებით.

«ახალი მიმოხილვის» 6564 №-ში ბ-ნი K. O. შენიშვნას მაძლევს, მაგრამ თუ ბ-ნ K. O-ს რაიმე აზრი არა აქვს ზოგიერთის გარემოების გამომჟღავნებაზედ, სრულიად უბრალოდ შეწუხებულა შენიშვნების დაწერისათვის. საკმაო იყო გაეცნო ერთის მხრივ ამ უკანასკნელ სამის თვის შემოსავალ-გასავალი და მეორეს მხრივ მიექცია ყურადღება საზოგადოების ანგარიშის მე-10 გვერდზედ ნაჩვენებ რიცხვისათვის—50,350 მან. 23 კაპ.; აქედან დარწმუნდებოდა, რომ ავანსის გაცემა ვერ შექმნიდა (50,350 მ. 23 კ.) ამ რიცხვს, რადგანაც ავანსად ეძლევათ ნაწილი მომავალის მოსავლის ღირებულობისა და არა ღირებულობაზედ კიდევ ზედ-მეტი. წესდების მუხლების მოყვანა სრულიად უქმია, თუ ამ მუხლების განხორციელებას და ამით შექმნილს გარემოებას არ გაიცნობს კაცი.

კახეთისათვის საჭიროა ღვინის ფულად ქცევა, უამისოდ კახეთის ერთად-ერთი წარმოება, ეს მარჩენალი და შალოცხლებული კახელებისა, დაიღუპება. თუ ვისმე შეუძლიან და კახეთისათვის გული შესტკივა, გვირჩიოს საშუალებანი.

ნადიკვრელი.

## „ივერიის“ ფოსტა

**ლ. ძ—ს.** თქვენი «მცირედი ლექსი» არ დაიბეჭდება „ფელეტონში“. მართლა მეტად მცირეა: ლექსობისა-კი არა, არაფრის ნიშან-წყალიც არ ეტყობა. ჯერ ადრეა თქვენთვის წერა.

**ვ. რ—ძეს.** პირველი ლექსი დაიბეჭდება, ორი დანარჩენი-კი არა. პირველში პოეზიაა, მეორეში-ი არც ნასახი პოეზიისა. ტენდენცია ისე აქვს აკიდებული, როგორც კურტანი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მარტი.

**ჩიფუ.** («რეიტ. სააგენტო»). როგორც რუსები იუწყებიან, სოფელ ხავანგლინში, პორტ-არტურს ახლო, 29 თებერვალს იაპონელთა 18 ჯაშუში დაუჭერიათ, ესენი გადამსხდარან იაპონიის ფლოტიდგან ნაპირს იმ დროს, როცა 26 თებერვალს ყუმბარებს ესროდნენ.—პორტ-არტურში ომის გამოცხადების დროს დაკავებული ნორვეგიის გემები 1 მარტს გავიდნენ ზღვაში.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგენტო»). მთავრობა, უეჭველია, მოითხოვს პარლამენტისაგან უფლებას ახალის შანგანის სესხის შესახებ, რომელიც 150 მილიონ იენს უნდა უდრიდეს. მთავრობა დარწმუნდა ამ ომის დროს, რომ იაპონიის მმართველობა მტკიცედ დამყარდა კუნძულ ფორმოზაზე; იქ სრული მშვიდობიანობაა იქაურები ხელს უმართავენ სამხედრო სესხსა.

**ვიგო.** იმპერატორმა ვილჰელმმა ესპანიის მეფე მიიღო კრეისერზე. საღამოზე გემ «კენიგ ალბერტ»-ზედ სადილი იყო გამართული.

**სტამბოლი.** რადგანაც შავის ჭირით ავადმყოფობის მაგალითი იყო ალექსანდრიაში და ავადმყოფობას შედეგად სიკვდილი მოჰყვა, ქალაქის სასანიტარო საბჭომ მისწერა გასინჯონ და დეზინფექცია გაუკეთონ გემებსა.

**ზლატოუსტი,** 3 მარტი. დღეს, 10 საათზე, ზლატოუსტი დიდებულად დაუხვდა და გააცილა გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი. დიდძალი ხალხი შეგროვდა: მთელის ქარხნების მუშები, დედაკაცები, ბავშვები და მოსამსახურე კაცნი. სამღვდელოებამ მცირე პარაკლისი გადაიხადა. ქალაქმა გენერალ კუროპატკინს მიართვა ხატი და პურ-მარილი და სახელმწიფო სამთა-მადნო ქარხანამ— მშვენიერი ხმალი.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო»). ჩინეთისაგან ოფიციალურ განცხადების გარდა ნეიტრალიტეტის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩინეთის მთავრობისაგან მიიღო რწმუნება, რომ ის ეცდება უეჭველად დაცულ იქმნას ჩინეთის ქვეშევრდომთაგან ნეიტრალიტეტი ორთავ მებრძოლთა ქვეყნების შესახებ. აქ ჰგონიათ, რომ ეს გარემოება შეამცირებს რუსეთში იმ აზრს, ვითომ იაპონელნი ბოლოს ჟამს იძულებულ ჰყოფენ ჩინელებს ნეიტრალიტეტი დაარღვევინონ.

**ბერლინი.** აქაურმა კორეის მისიის ატაშემ გიენსინ-გონმა თავი მოიკლა.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო»). როგორც ტოკიოდგან იტყობინებიან გაზეთები, ორი ზღვაოსანი «ვარიაგისა», რომელთა გვამი ჩემულპოსთან გამორიყა ზღვამ, იაპონელებმა სამხედრო პატივით დაასაფლავეს.

**პეტერბურგი.** 3 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე მემკვიდრემ დაათვალიერეს ჯავშნიანი გემები «ბოროდინო» და «ორიოლი».

**პეტერბურგი.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ერთი გაზეთისაგან დაბეჭდილი ნეკროლოგი ალექსანდრე გრიგოლის ძის ნებოლსინისა შეცდომით არის: გარდაიცვალა იმისი ძმა, ანდრია გრიგოლის ძე ნებოლსინი.

**ჟენევა.** პეტერბურგში იაპონიის ელჩად ნამყოფი იაპონიაში წავიდა.

**ლონდონი.** კემბრიჯის ჰერცოგი ავად გახდა.

**ბერლინი.** აქაურს დიპლომატებს აცნობეს, ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ომში არ ურევია, თავის დროზე სახეში იქონიებენ, რომ იაპონელნი, როგორც რუსები ამტკიცებენ, ხმარობენ ისეთს ყუმბარებს, რომელიც ჰაერს შხამავს, თუმცა ჰააგის დაადგენილებით ამნაირი სასროლი მასალა აღკრძალულია. აქედან სამხრეთ-დასავლეთ აფრიკისაკენ იგზავნება სამი რაზმი ჯარების გასაძლიერებლად.

**მიუნხენი.** მთავარი შტაბი ბავარიის ჯარისა აღმოსავლეთ აზიაში ჰგზავნის მაიორს შტეტენს, რომელიც იაპონიის ჯარს თვალ-ყურს ადევნებს ომიანობის დროს.

**პორტ-არტური.** (საკუთარის კორეს.). მეფის მოადგილის ბრძანებით, მისი საზღვაო შტაბი დათხოვნილ იქმნა.—აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის სტუდენტები მანჯურიის ჯარის უმთავრეს შტაბში ჩარიცხეს. პორტ-არტურის მიდამოებში ცვლილება არ მომხდარა. მტერი აღარ გამოჩენილა.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). მთავრობამ გადასწყვიტა, პარლამენტის საგანგებო სესსიას, რომელიც 5 მარტიდან დაიწყება, მოახსენოს განსახილველად, რომ დამუშავებულს თამბაქოზედ შემოღებულ იქმნას მონოპოლია, შემოიღონ გადასახადი მარილზე და სხვადა-სხვა ხარჯებს მოუმატონ. მთელი შემოსავალი ამ გარდასახადებისაგან აღნუსხულია 6.800,000 იენით. სამხედრო ხარჯი ომის დაწყებიდან 536,000,000 იენია. იმედი აქვთ, ამ ხარჯებს დაჰფარავენ ახალის ხარჯებით, ქაღალდის ფულის გამოცემით, დაუმტკიცებელის სესხითა და სათადარიგო თანხით.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანებანი: კონტრ-ადმირალი მოლასი მე-2 დაინიშნა დიდ ოკეანეზე მყოფის ფლოტის უფროსის შტაბის გამგედ; ვიცე-ადმირალი სტარკი ავადმყოფობისა გამო დაითხოვეს დიდ ოკეანის ესკადრის უფროსის თანამდებობისაგან. პირველ მარტს ხელმწიფე იმპერატორმა ჯავშნიან გემის «რეტვიზანის» პირველი ხარისხის კაპიტანს შჩენსნოვიჩს უბოძა ნაღმიან გემების თავდასხმის დროს მოგერებისათვის 11 და 12 თებერვალს მეოთხე ხარისხის ორდენი წმ. გიორგისა.

4 მარტი.

**ვილნო.** ესე საღამოს 7 საათზე ძლიერი ჭექა გაისმა. აღმოჩნდა, რომ ალექსანდრეს სამლოცველოში გიორგის მოედანზედ იფეთქა პეტრადამ, რომელიც ვიღაც უცნობთ დაედოთ იქ. ფანჯრები დაიმსხვრა; მცირეოდნად დაზიანდა შენობაც.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო») იუწყება პარიჟიდგან, რომ საქმის კარგად მცოდნენი ამტკიცებენ, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობის შორის მოლაპარაკება დასრულდაო. სრულიადი თანხმობა მოხერხდა ყოველ იმ საახალშენო და სხვა საგანთა შესახებ, რომელიც-კი საინტერესო იყო ორსავე მთავრობისთვისაო. მორიგებას ალბად რამდენისამე დღის შემდეგ მოაწერენ ხელს.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგენტო»). სულ დასახარჯია ომისათვის, დაწყების დღიდგან, ასე 156 მილიონ იენამდე. უკვე დაიხარჯა დღემდე 50 მილიონი. ამაშია ის ფულიც, რომლითაც შეძენილ იქმნა კრეისერები «ნისსენი» და «კასსუგა».

**პეტერბურგი.** შორეულ აღმოსავლეთიდგან ოფიციალური ცნობანი არ მოსულა.—ჰერცოგი მიხეილ გიორგის-ძე მეკლენბურგ-სტრელიცკი პირველ არტილერიის ბრიგადის ლეიბ-გვარდიის უფროსად დაინიშნა.

**ადენი.** («რეიტ. სააგენტო»). გემი «იეზერიკი», რომელიც ნიუ-იორკიდგან მიდიოდა იოკოგამას სამხედრო კონტრაბანდით, აქ მოვიდა ისე, რომ რუსეთის სამხედრო გემებს არ შეჰხვედრია ხმელთა-შუა-ზღვაზედ.

**ნიუ-ჩუანი.** («რეიტერის. სააგენტო»). იუწყებიან, რომ საკმაოდ დიდი ჯარი რუსეთისა დაბანაკდა მშვენიერ სტრატეგიულ ადგილებში გამაგრებულ ქალაქს ან-შან-ჩჟანსა.—მკვიდრნი, რომელთაც დაანებეს თავი 28 თებერვალს ფინ-ხუნ ჩენსა, ამტკიცებენ, რომ უმთავრესი ჯარი რუსთა, თავ-მოყრილი იალუსთან, გავიდნენ მაომა და ანდჟნსა, ნიოლსონსა და სხვა ადგილებში დასტოვეს პატარ-პატარა რაზმები მდინარის დასაცველადაო.—ორის კვირის წინად, იაპონელთა მზვერავნი ანდუნს იყვნენ; მას უკან იალუს დასავლეთად იაპონელნი აღარა სჩანან.

**სეული.** («რეიტ. საავ.») კორეის სავაჭრო წარმომადგენელმა კიონ-სიონსა და ტუმენზედ ცნობა მიიღო რუსეთის გენერლისაგან ვლადივოსტოკიდან, რომ რაკი კორეია იაპონიას შეუერთდა, რუსეთის მთავრობა ისე დაუწყებს ცქერას კორეის სახელმწიფოს, როგორც სამეფოს, რომელიც ეომება რუსეთსაო. ამის გამო 2000 კორეველთა ჯარის-კაცნი გაიგზავნა სეულიდან ჩრდილოეთად.—იაპონელები ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ იალუს ჩრდილო ნაპირებზედ შეგროვილია რუსეთის არტილერიის ძლიერი რაზმი და იქ აგებს სანგრებსა და იღებს თხრილებს.

**უფა.** უფაზედ ვაიარა გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა. ვოგზალზედ მიეგება დიდი სიმრავლე ხალხისა და წარმომადგენელნი სხვა-და-სხვა უწყებისა. თავად-აზნაურთა დეპუტაციამ ადრესი მიართვა. ქალაქმა მიართვა ადრესი და გულზე სატარებელი პატარა ხატი წმ. ალექსისა და სერგისა. გენერალმა კუროპატკინმა მადლობა გადაუხადა და სთქვა, რომ ის მსხვერპლი, რომელსაც ჯარი სწირავს, მოითხოვს უფრო დიდი მსხვერპლი გასწიროს ხალხმაო. უამისობა ვერ მოხერხდებაო. ომში გამარჯვებას უნდა მოთმინებით ველოდოთო. აღტაცებულის «ურას» ძახილით გააცილა ხალხმა გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი.

დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

### პეტერბურგის ბირჟა

2 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,90 | |
| ბერლინში 100 მარკაში | $45,87^{1}/_{2}$ | |
| პარიჟში 100 ფრანკში | — | |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 | |
| ბერლინში „ | $46,27^{1}/_{2}$ | |
| პარიჟში „ | 37,65 | |
| ბირჟის დისკონტი | $6—7^{1}/_{2}\%$ | |
| 4% სახელმწიფო რენტა | $93^{1}/_{8}$ | ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — | |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 91 | მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მოგ.-ბილ. 1864 წ. | 354 | ნის. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 290 | წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | $252^{1}/_{2}$ | ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — | |
| $4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | |
| $4^{1}/_{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — | |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | $87^{5}/_{8}$ | ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — | |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ საშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—6)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებით სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

**სტამბა**

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს აწ დ ო მ ი ა.

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

**„ნ ა დ ე ჟ დ ა“**

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

გ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

ბ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—21)